

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

(სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
რაინდი როდონაია
წევრ(ებ)ი:
ნინო მარღიშვილი

ნაწილი I. შესავალი

[1]**შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციოკოდი	23006202

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ზესტაფონი
ფაქტობრივი მისამართი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი არგვეთა
საფოსტო ინდექსი	2000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	argveta@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების	577317915

ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 28 აპრილის N495931 ბრძანება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 28 აპრილის N495931 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს - რაინდი როდონაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე) და ნინო მარღიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) — დაევალა ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული „ა" და "დ" პუნქტების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების განხორციელება სსიპ-ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ

არგვეთის საჯარო სკოლის დოკუმენტების შესწავლით (გეგმური მონიტორინგი). წარმოების ფარგლებში სკოლამ უზრუნველყო სტანდარტის შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია და შესწავლილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, ექსპერტთა ერთობლივი მუშაობით მომზადდა შესაბამისი დასკვნა.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
240	**103**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლა გაეცნო და დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნის პროექტს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	1. სასურველია სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში ასახული ხედვა თანხვედრაში იყოს სასკოლო სასწავლო გეგმასა და ვებგვერდზე განთავსებულ ხედვასთან. 2. სასურველია სკოლის ხედვაში ასახული იყოს საშუალო ან გრძელვადიანი მიზნები და მომავლის ხედვა. 3. სასურველია შვიდწლიანი განვითარების სტარტეგიულ გეგმაში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და ამოღებულ იქნეს სხვა სკოლის სახელწოდება.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**	**რეკომენდაციის შესრულების ანგარიში**
ინდიკატორი N1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.11.2023-მდე) უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების რევიზია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და ჩართულობის მტკიცებულების წარმოდგენა.	რეკომენდაცია შესრულებულია
ინდიკატორი N1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.11.2023-მდე) შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში უზრუნველყოს: **1.** ყველა სტრატეგიული მიზანის ჩაშლა ამოცანებად; **2**. რეალისტური ამოცანების გაწერა (ამოცანები უნდა გაიწეროს სკოლის რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე);	1. რეკომენდაცია შესრულებულია 2. რეკომენდაცია შესრულებულია

		3. სტრატეგიული გეგმის შესრულების კალენდარში ყველა გაწერილი ამოცანის შესრულების პერიოდის ასახვა	3. რეკომენდაცია შესრულებულია
ინდიკატორი N1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.11.2023-მდე) უზრუნველყოს 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი მიზნებისა და ამოცანების სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა და სამოქმედო გეგმაში ასახული აქტივობების გაწერა სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე.	რეკომენდაცია შესრულებულია
ინდიკატორი N1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.11.2023-მდე) უზრუნველყოს 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში შესრულების გაზომვადი ინდიკატორებისა და შესრულებისთვის საჭირო რესურსების (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური) ასახვა.	რეკომენდაცია შესრულებულია

სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**	**რეკომენდაციის შესრულების ანგარიში**
ინდიკატორი N4.2.1.1	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.12.2023-მდე) უზრუნველყოს მოსწავლის ადაპტაციის პრობლემის პრევენციის ან/და დროული რეაგირების მიზნით დეტალურად განსახორციელებელი პროცედურების შემუშავება/დამტკიცება.	რეკომენდაცია შესრულებულია

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ის არის მოკლე, გასაგები, მამოტივირებელი. კერძოდ სკოლის მისიაა: ,,მოსწავლეზე ორიენტირებული, უსაფრთხო, ინკლუზიური, მაღალი ხარისხის სასწავლო გარემოს შექმნა, რათა ხელი შევუწყოთ მოსწავლის ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბებას, დამოუკიდებელი, ცხოვრებისეული უნარებით აღჭურვას“.

სასკოლო სასწავლო გეგმაში, ვებგვერდზე და ფოტომასლებში სკოლის ხედვაა: ,,სასკოლო საზოგადოებაში მოსწავლე არის თავისუფალი, მოტივირებული, თავდაჯერებული, დაფასებული, შემდგარი ღირსეული პიროვნება და მოქალაქე. სკოლაში შექმნილია ჯანსაღი, ჰარმონიული, ტოლერანტული, თანამშრომლობითი და ურთიერთპატივისცემაზე ორიენტირებული გარემო”. სკოლის მიერ გადმოგზავნილ შვიდწლიანი განვითარების სტარტეგიული გეგმაში, რომელიც დამტკიცებულია 2023 წლის 17 ნოემბერს, სკოლის ხედვა სხვანაირად არის ჩამოყალიბებული, ნახსენებია სხვა სკოლა და არ ემთხვევა სასკოლო სასწავლო გეგმაში და სკოლის ვებგვერდზე განთავსებულ ხედვას, ასევე სკოლის მიერ გადმოგზავნილ ფოტომტკიცებულებებს. სკოლას არ წამოუდგენია მტკიცებულებები როდის და როგორ განხორციელდა სტრატეგიული გეგმაში სკოლის ხედვის რედაქტირება/შეცვლა. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი ხედვა ფორმულირებულია, როგორც მიღწეული შედეგი, არ ჩანს საშუალო ან გრძელვადიანი მიზნები და არ არის ასახული სკოლის მომავლის ხედვა. **რჩევა:** 1.სასურველია სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში ასახული ხედვა თანხვედრაში იყოს სასკოლო სასწავლო გეგმასა და ვებგვერდზე განთავსებულ ხედვასთან. 2. სასურველია სკოლის ხედვაში ასახული იყოს საშუალო ან გრძელვადიანი მიზნები და მომავლის ხედვა. 3. სასურველია შვიდწლიანი

განვითარების სტარტეგიული გეგმაში გასწორდეს ტექნუკური ხარვეზი და ამოღებულ იქნეს სხვა სკოლის სახელწოდება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მისიასა და ხედვაში განსაზღვრულია, რომ სკოლა მოსწავლეზეა ორიენტირებული, რათა შექმნას ინკლუზიური და მაღალი ხარისხის უსაფრთხო სასწავლო გარემო, რომელიც ზრუნავს, რომ მოსწავლე იყოს თავისუფალი, შემდგარი ღირსეული პიროვნება და მოქალაქე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლამ მისია, ხედვა და ღირებულებები შეიმუშავა 2023 წელს. აღნიშნულ პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება, რაც დასტურდება სამუშაო ჯგუფის შექმნით, რომელიც დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისგან. სკოლამ წარმოადგინა მშობელთა კრების ოქმი, სადაც ჩანს, რომ მშობლებს ჰქონდათ შესაძლებლობა აზრი გამოეთქვათ სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში. სკოლამ ასევე წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტი, სადაც ასახულია მისიის და ხედვის სამუშაო ვერსიები. ამრიგად სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

ავტორიზაციის დროს სკოლას მიეცა რეკომენდაცია: უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების რევიზია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და ჩართულობის მტკიცებულების წარმოდგენა. რეკომენდაცია შესრულებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დოკუმენტი/ანალიზი, სადაც დასტურდება, რომ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი, შესაბამისად მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის, ატვირთულია სკოლის ვებვერდზე, გამოკრულია სკოლის სივრცეში (გადმოგზავნილი ფოტომასალა), გაზიარებულია სკოლის ფეისბუქ გვერდზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. სკოლის სახელწოდებაა სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლა, რაც გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებიდან „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ". **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
სკოლის ვებგვერდი;
ბრძანება N2-76 სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
დოკუმენტი (გაცემული რეკომენდაციების შესრულ.) ფოტომასალით;
მშობელთა კრების ოქმი

სტრატეგიული დაგეგემარება;
მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავებაზე სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ამსახველი დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს: მმართველობითი პროცესის - მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების დაგეგმვის ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. წესი ასევე განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და

გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, 7 წლიანი, რომელიც მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში სკოლა ეყრდნობა SWOT ანალიზს, შეფასებულია სკოლის არსებული მდგომარეობა, იდენტიფიცირებულია ძლიერი და სუსტი მხარეები.

ავტორიზაციის დროს სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში უზრუნველყოს:

1. ყველა სტრატეგიული მიზანის ჩაშლა ამოცანებად;
2. რეალისტური ამოცანების გაწერა (ამოცანები უნდა გაიწეროს სკოლის რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე);
3. სტრატეგიული გეგმის შესრულების კალენდარში ყველა გაწერილი ამოცანის შესრულების პერიოდის ასახვა.

რეკომენდაციები შესრულებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლამ წარმოადგინა 2023-2024; 2024-2025; 2025-2026 სასწავლო წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის გაცნობით დადასტურდა, რომ იგი შეესაბამება და გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ანგარში 2023-2024 სასწავლო წლის მეორე სემესტრის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის 2024-2025 სასწავლო წლის ანგარიში, სადაც ასახულია ინფორმაცია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ და ერთწლიანი სამოქმედო

გეგმის შესრულების შესახებ. ანგარიშები ადასტურებს, რომ სკოლას შეუძლია საკუთარი საქმიანობის რეფლექსია, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა.

ავტორიზაციის დროს სკოლას მიეცა რეკომენდაცია: უზრუნველყოს 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი მიზნებისა და ამოცანების სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა და სამოქმედო გეგმაში ასახული აქტივობების გაწერა სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე. რეკომენდაცია შესრულებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მოცემულია სტრატეგიული მიზნები, მათი შესაბამისი ამოცანები. აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების პერიოდი, შესრულების ინდიკატორები და რესურსები.

ავტორიზაციის დროს სკოლას მიეცა რეკომენდაცია: უზრუნველყოს 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში შესრულების გაზომვადი ინდიკატორებისა და შესრულებისთვის საჭირო რესურსების (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური) ასახვა. რეკომენდაცია შესრულებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შვიდწლიანი სტრატეგიულ იგეგმა;
ერთწლიანი სამოქმედო გეგმები: 2023-2024; 2024-2025; 2025-2026 სასწავლო წლები

სტრატეგიული გეგმის შექმნის მეთოდოლოგია;
2023-2024 და 2024-2025 დირექტორის ანგარიში;
2024-2025 ერთწლიანი გეგმის ანგარიში;
სამეურვეო საბჭოს ოქმი -სტრატეგიული გეგმის განხილვა-შეთანხმებაზე.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ სტრატეგიული განვითარებისა და დაგემვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს, რომელიც ხორციელდება ორჯერ: შუალედური და შემაჯამებელი მონიტორინგით და შეფასებით. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სკოლის მიერ შექმნილი მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი, რომელსაც ჰყავს თავმჯდომარე და შედგება მინიმუმ 3 წევრისგან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიაში კარგად ჩანს, რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო პროცესებში მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების მნიშვნელობა. სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. კერძოდ: ბრძანება 24.09.2024 წლის N2-32 სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ, ასევე 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების განხილვის ოქმი N2 და 2025-2026 წლის სასწავლო წლის

ერთწლიანი შუალედური სამოქმედო გეგმის განხილვის ოქმი N1. ამგვარად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტებში წარმოდგენილია 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, ასევე წარმოდგენილია სკოლის დირექტორის ანგარიში, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის საჯაროობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლამ წარმოადგინა მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშის დოკუმენტაცია, კერძოდ: ბრძანება 24.09.2024 წლის N2-32 სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ, ასევე 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების განხილვის ოქმი N2 და 2025-2026 წლის სასწავლო წლის ერთწლიანი შუალედური სამოქმედო გეგმის განხილვის ოქმი N1. ასევე სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიში, რომელშიც გაანალიზებულია მონიტორინგის შედეგები და ახალი სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისას გასათვალისიწინებელი საკითხები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტარტეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
დირექტორის ანგარიში;

2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიში.
ბრძანება 24.09.2024 წლის N2-32 სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ;
2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების განხილვის ოქმი N2
2025-2026 წლის სასწავლო წლის ერთწლიანი შუალედური სამოქმედო გეგმის განხილვის ოქმი N1.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას სკოლა ახორციელებს შინაგანაწესის, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების", ,,მოსწავლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების", სასკოლო სასწავლო გეგმისა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტებით. ბრძანებაში ,,მოსწავლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები", აღწერილია მოსწავლისა და მშობლის უფლება-მოვალეობები და სკოლის ფუნქცია-მოვალეობები. სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი მოსწავლეთა დისციპლინური დევნის თავისებურებები და დისციპლინური სახდელები. სკოლის შიდა რეგულაციებით თითოეულ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობას მიიღოს ინფორმაცია თავისი უფლებების, სკოლაში არსებული საჩივრების სისტემისა და გასაჩივრების პროცედურების შესახებ. მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში აღწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები, რაც მიუთითებს, რომ მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები არის დაცული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, კერძოდ, სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის საჯარო სივრცეში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას, ასევე გამოქვეყნებულია ვებგვერდზე. მოსწავლის მობილობის ან პირველ კლასში შესვლის შემთხვევაში მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება ხელშეკრულება, სადაც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები. ადმინისტრაცია მშობელებს და მოსწავლეებს აცნობს შინაგანაწესს, ინფორმაციის გაზიარება ასევე ხდება კლასის დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე, სოციალური ქსელების მეშვეობით, ელ. ფოსტის საშუალებით, კლასის საათის ფარგლებში და სხვ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები, სასწავლო და დასვენების, ასევე უქმე დღეების შესახებ ინფორმაცია, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და დამატებითი პირობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი

სასკოლო სასწავლო გეგმა

მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები

მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლა მოსწავლეთა ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და აღდგენას ახორციელებს კანონმდებლობის შესაბამისად, რაც ასახულია სკოლის დირექტორის ბრძანებაში ,,მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის

დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების წესი“. ამ დოკუმენტში სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. დოკუმენტში გაწერილია პირველკლასელთა რეგისტრაციის ეტაპები, ასევე მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი და პროცედურები. ბრძანებაში ასევე არის გაწერილი სტატუსის შეჩერების საფუძვლები, სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების საკითხებთან დაკავშირებით სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი წესებით. სკოლამ წარმოადგინა ,,მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ“, ,,მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ“ და ,,ამორიცხვის შესახებ“ სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები, რაც ადასტურებს, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების მექანიზმებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სასკოლო სასწავლო გეგმას და შინაგანაწესში განსაზღვრულია სკოლას მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები და მათი სპეციფიკა. სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გავრცელება ძირითადად ხდება სოციალური ქსელების საშუალებით, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაიგოს სკოლაში მიმდინარე სიახლეები. სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის საჯაროდ ხელმისაწვდომობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს ძირითადად ვებგვერდის, ელფოსტისა და სოციალური ქსელების საშუალებით, ინფორმაციის გავრცელება ასევე ხდება დამრიგებლების მიერ მშობლებთან შეხვედრების დროს. ინფორმაციის გავრცელების დროს სკოლა ზრუნავს, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იყოს კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული. სკოლის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია მუდმივად არის განახლებული, ყველა დაინტერესებული პირისთვის გასაგები და თანაბრად ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა

შინაგანაწესი

მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესი

ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის თაობაზე

ბრძანება სტატუსის შეჩერების თაობაზე

ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს ,,მოსწავლეთა ადაპტაციის წესი", რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები, ასევე ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. ბრძანება შეიცავს პირველკლასელთა ადაპტაციისათვის განსაზღვრულ ღონისძიებებს, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას, მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა ადაპტაციას. ასევე შემუშავებულია რეკომენდაციები მშობლებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს მათი შვილების სკოლასთან ადაპტაციას. სკოლას პირველკლასელთა მიღებისას ატარებს მრავალფეროვან სხვადასხვა სახის ღონისძიებებს და აქტივობებს, კერძოდ, სასწავლო წლის დაწყებამდე კლასის დამრიგებელი ხვდება მშობლებს, იგეგმება ვიზიტი სკოლაში, ათვალიერებენ სკოლის ინფრასტრუქტურას, დამრიგებელი აცნობს მათ სკოლის სპეციფიკას და მიღება ხდება საზეიმო ვითარებაში. მოსწავლეს ექმნება ყველანაირი პირობა, რათა მისთვის სტრესული არ აღმოჩნდეს ახალ გარემოში ყოფნა.

ავტორიზაციის დროს სკოლას მიეცა რეკომენდაცია: უზრუნველყოს მოსწავლის ადაპტაციის პრობლემის პრევენციის ან/და დროული რეაგირების მიზნით დეტალურად განსახორციელებელი პროცედურების შემუშავება/დამტკიცება. რეკომენდაცია შესრულებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“,, შეიცავს პირველკლასელთა ადაპტაციის მექანიზმებს. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, კერძოდ, უზრუნველყოფს ახლად ჩარიცხული მოსწავლისათვის მშობელთან ერთად სასკოლო გარემოს დათვალიერებას, მასწავლებელთა გაცნობას. სასწავლო წლის დაწყებისას პირველ დღეს ტარდება განსხვავებული ფორმატით. სკოლის ეზოში ეწყობა საზეიმო დახვედრა. აღნიშნული ღონისძიების/აქტივობის მიზანია სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით მოსწავლეების უკეთ გაცნობა და დაახლოება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლეები სკოლისაგან იღებენ სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად. სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეებს, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ დამატებითი დავალებები და ინდივიდუალურად უტარდებათ დამატებითი მეცადინეობები. მასწავლებლები აკეთებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს საგნობრივი სტანდარტის დაძლევის და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით სარემედიაციო მომსახურების პოლიტიკა, რომელიც მოიცავს სწავლების სამივე საფეხურს და რომლის მიზანია მოსწავლეთა ხელშეწყობა სწავლის ფუნდამენტური უნარების ათვისების კუთხით არსებული სირთულეების აღმოსაფხვრელად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან**.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლისგან მოსწავლე დადგენილ ვადებში იღებს სათანადო მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას ოლიმპიადებსა და კონკურსების შესახებ, ხოლო მშობლებს სემესტრული გამოცდებისა და მობილობის შესახებ. სკოლაში ექსტერნატის გამოცდების ჩატარებისა და ექსტერნად რეგისტრაციის ვადების შესახებ ინფორმაცია დროულად განთავსდება სკოლაში თვალსაჩინო ადგილას სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მიზნით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლას ჰყავს არჩეული მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც თვითმმართველობის დებულების შესაბამისად ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას მათი ინტერესების შესაბამისად სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებში, ასევე ორგანიზებას უწევს და ახორციელებს სამოქალაქო, საგანმანათლებლო და სპორტულ აქტივობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა შემუშავებული კითხვარების საშუალებით ატარებს მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვას, რომელსაც იყენებს მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში, ასევე სოციალური ქსელებიდან იღებს უკუკავშირს, რომელთა გათვალისწინება ხდება სკოლის შემდგომ საქმიანობაში. სკოლამ წარმოადგინა კითხვარი, რომელიც მოიცავდა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებულ კვლევას, ასევე სკოლა აქვს შემუშავებული მშობელთა კმაყოფილების კითხვარი, რომელთა შედეგების ანალიზის საფუძველზე გეგმავს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას. **შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სასკოლო სასწავლო გეგმა
რემედიაციის პროგრამა
კითხვარები

მშობელთა ჩართულობის კვლევა
თვითმმართველობის ოქმები
თვითმმართველობის დებულება

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა ზრუნავს, რომ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს მოსწავლეთათვის. სკოლას ჯერჯერობით მემორანდუმი არ აქვს გაფორმებული პროფესიულ სასწავლებლებთან, თუმცა 2023 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კოლეჯ ,,კონსტრუქტორთან". მოსწავლეები ჩართულნი არიან სხვადასხვა აქტივობებში და სტუმრობენ კოლეჯს. პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით კოლეჯის წარმომადგენლები სკოლაში ვიზიტის დროს ატარებენ სხვადასხვა სახის საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეებთან და მშობლებთან. მომავალში სკოლა გეგმავს მემორანდუმის გაფორმებასაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

იმისათვის, რომ მოსწავლეები და მშობლები ინფორმირებული იყვნენ შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, სკოლა სთავაზობს მათ ინფორმაციას პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.

ინფორმაციის გავრცელების წყაროდ იყენებენ სოციალურ ქსელსა და საინფორმაციო დაფას, ასევე კლასის დამრიგებლები ატარებენ შეხვედრებს. სკოლა სოციალურ ქსელში ავრცელებს პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებსა და აქტივობებს, აცნობენ მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროგრამებს, მოთხოვნად პროფესიებსა და დასაქმების შესაძლებლობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა კარიერულ დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებს გეგმავს მოსწავლეების სურვილებისა და ინტერესების გათვალისწინებით. სკოლა კითხვარების საშუალებით ცდილობს წინასწარ განსაზღვროს, თუ რომელი პროფესიები აინტერესებთ მათ, რათა უფრო მიზნობრივი იყოს სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
მემორანდუმები
კითხვარი
ფოტომასალა

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რაც უზრუნველყოფს სსსმ პირთა საჭიროებებზე ინდივიდუალურად მორგებულ სასწავლო პროცესსა და სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას. მოსწავლეებს ემსახურებიან სპეციალური მასწავლებლები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი. თითოეული სსსმ მოსწავლისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. სასკოლო სასწავლო გეგმით ასევე განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების ზოგადი პრინციპები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. ინდივიდუალური სამოქმედო გეგმების შედგენასა და განხორციელებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების დიდი ნაწილი. დირექტორის ბრძანებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება მშობლისა და პედაგოგებისგან, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. ისგ ჯგუფის ერთობლივი მუშაობა და მიზნობრივი ინტერვენციები მიმართულია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო რესურსების მიწოდების რეგულაცია

ისგ გეგმები

ინტერვენციის გეგმა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ამ ეტაპზე დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას სკოლა არ ახორციელებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

ამ ეტაპზე დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას სკოლა არ ახორციელებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ამ ეტაპზე დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას სკოლა არ ახორციელებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

თარიღი: 04/06/2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: